ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4176056

ნომერი: AR1624951

თარიღი : 23.08.2018

გაცემის თარიღი : 18.09.2018

გაცნობის თარიღი : 18.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 11, კორპუსი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მარი პ/ნ 01005000001
- თბილისი, ლუბლიანას ქ. #11

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ტრიდე კოდი: 205206098

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 23 აგვისტოს NAR1624951 განცხადებით მომართა მიხეილ მარიმ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა, №22-ში, შპს "ტრიდე"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.010.075), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი №5) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 13 თებერვლიდან 2018 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 13 აგვისტოს №4118162 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2018 წლის 20 ივლისის NAR1617658 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი განმარტავს სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებით შეთანმხებული გეგმების ბოლოს სართულზე (+46.20) ბინების ფართობებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას და 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებით შეთანხმებული +46.20 ნიშნულის გეგმის 2018 წლის 23 აგვისტოს NAR1624951 განაცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით ჩანაცვლებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმაზე ფართების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +46.20 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2018 წლის 23 აგვისტოს NAR1624951 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 თებერვლის №3820091 და 2018 წლის 13 აგვისტოს №4118162 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.